

მშენებლობის მწარმოებლის მოსამზადებელი

პროფესიული პროგრამა

040651

I. პროფესიული პროგრამის სახელწოდება: მშენებლობის მწარმოებლის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მშენებლობის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ) სულ 1500 საათი,
აქედან: 36 კრედიტი (900 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი-792; დამოუკ.- 108)
24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის(საკონტაქტო საათი - 528; დამოუკ.- 72)

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე სასწავლებლად დაიშვება პირი, რომელსაც დასრულებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხური. პროგრამაზე სასწავლებლად დაშვების მინიმალური პირობაა ზოგადი სრული განათლება ან მშენებლობის მხარეთულების რომელიმე პროფესიული სპეციალიზაციის II საფეხურის კვალიფიკაცია.

VI. პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს IV საფეხურის მშენებლობის მწარმოებელი, რომელსაც შეუძლია: სამშენებლო კონსტრუქციული ელემენტების ზომების დადგენა, გაანგარიშება სიმტკიცეზე და მდგრადობაზე; გრუნტის დათვალიერება და მონაცემების ნორმებთან შედარება; ტექნოლოგიური პროცესის დაგეგმვა და მისი წარმოების ხარისხის განსაზღვრა.

VII. სწავლის შედეგი:

მისალწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:

I	ცოდნა და გაცნობიერება	<p>იცნობს მასალის, ნაკეთობისა და კონსტრუქციული ელემენტების ადგილზე გამოყენებისა და მათი დასაწყობების სპეციფიკას სამშენებლო მოედანზე; იცის კონსტრუქციული ელემენტების თეორიული გაანგარიშება სიმტკიცესა და მდგრადობაზე; კონსტრუქციული ელემენტის საორიენტაციო ზომების დადგენა და შედარება სამშენებლო მოედანზე არსებულთან.</p> <p>აცნობიერებს სამშენებლო ნორმების მონაცემების მნიშვნელობას. მარტივი ხელსაწყო-იარაღებით და მონაცემებით შეუძლია მოახდინოს გრუნტის დათვალიერება, წინასწარ განსაზღვროს სამშენებლო პროცესის ხანგრძლივობა და მუშათა საჭირო რაოდენობა.</p>
II	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>შეუძლია შეცვალოს სამშენებლო მოედანზე მიმდინარე სამუშაო პროცესი, საჭიროებისამებრ დააჩქაროს ან შეანელოს იგი, გამოიყენოს მათემატიკური გამოთვლების შედეგები და დაადგინოს საძირკვლის ფორმა, მისი ფართობი და ჩაღრმავება; მოწოდებული საშენი მასალებისა და ნაკეთობების ხარისხის დამადასტურებელი საბუთების შედარება-შემოწმება. სამუშაო პროცესებში ჩართული ჯგუფის, ბრიგადის მართვა და უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე კონტროლი.</p>
III	დასკვნის გაკეთების უნარი	<p>შეუძლია ჩატარებული თეორიული გამოთვლების შედეგების საფუძველზე შეცვალოს სამშენებლო ნორმებით დასაშვები მასალის სიმტკიცის მახასიათებლები, დაასაბუთოს და გამოიტანოს დასკვნა და წარადგინოს მისეული ხედვა ანგარიშის ან ინფორმაციის სახით.</p>
IV	კომუნიკაციის უნარი	<p>აქვს სხვადასხვა სიტუაციებში მშენებლობის პროცესის უწყვეტი წარმართვის უნარი, იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია ყოველივე წარმოადგინოს უცხოურ ენაზე.</p>
V	სწავლის უნარი	<p>შეუძლია პროფესიული ცოდნის შემდგომი განვითარების განსაზღვრა ცვალებად და ექსტრემალურ ვითარებაში; უახლესი ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და დამოუკიდებლად დასკვნის გამოტანა.</p>
VI	ღირებულებები	<p>შეუძლია საქმიანი დამოკიდებულება ხელმძღვანელებსა და კოლეგებთან. გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვა და საქმიანი ურთიერთობების მართვა. მოქმედებს სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით და პროფესიული ეთიკის ფარგლებში.</p>

VII. სწავლის შედეგების რუკა

საგნები	I	II	III	IV	V	VI
საინჟინრო მათემატიკა	X	X	X			
ინგლისური ენა	X	X	X	X		
საინჟინრო კომპიუტერული ტექნოლოგიები	X			X	X	X
მეწარმეობის საფუძვლები	X	X		X		
სამშენებლო კონსტრუქციები	X	X	X	X		X
საინჟინრო გეოდეზია	X	X	X			X
სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია და მართვა	X	X		X		
სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია	X	X			X	X
საინჟინრო მექანიკა	X	X	X		X	
გრუნტების მექანიკა; გეოლოგია	X	X		X		X
საინჟინრო გრაფიკა	X	X	X			
სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა		X		X	X	X

IX. სასწავლო გეგმა

საგნები		კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა							
			საკონტაქტო საათები							
			ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება	დამოუკიდებელი საათები	სულ საათების რაოდენობა	
1.	საინჟინრო მათემატიკა	5	50/52					8	15	125
2.	ინგლისური ენა	5	0/102					8	15	125
3.	საინჟინრო მექანიკა	5	46/46	10				8	15	125
4.	მეწარმეობის საფუძვლები	5	18/20		32	32		8	15	125
5.	სამშენებლო კონსტრუქციები	10	28/30	10	76	68		8	30	250
6.	საინჟინრო გეოდეზია	5	18/20		32	32		8	15	125
7.	სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია და მართვა	5	18/20		32	32		8	15	125
8.	სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია	5	18/20		32	32		8	15	125
9.	საინჟინრო კომპიუტერული ტექნოლოგიები	5	30/40		32			8	15	125
10.	გრუნტების მექანიკა; გეოლოგია	5	12/16	10	32	32		8	15	125
11.	საინჟინრო და კომპიუტერული გრაფიკა	5	30/40		32			8	15	125
სულ		60	674	30	300	228		88	180	1500

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებას ჩაითვლება:

- **(A)** - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- **(B)** - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- **(C)** - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- **(E)** - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- **(F)** - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება;
- დასკვნითი გამოცდის შეფასება.

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება;
- ზეპირი გამოკითხვა;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი.

XII. სწავლების მეთოდები:

თეორიული სწავლება;

პრაქტიკული სწავლება;

ლაბორატორიული სამუშაო;

საწარმოო პრაქტიკა.

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

კურსი/მოდული /საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
საინჟინრო მათემატიკა	ლელა თურმანიძე	დოქტორი
ინგლისური ენა	ნინო მიქელაძე	მასწავლებელი
კომპიუტერული ტექნოლოგიები საინჟინრო საქმეში	გოჩა ჩავლეშვილი	დოქტორი
მწარმოების საფუძვლები	ნინო დონდოლაძე	დოქტორი
სამშენებლო კონსტრუქციები	გიზო ფარცხალაძე კოტე გოგელია	დოქტორი ინჟინერ-მშენებელი
საინჟინრო გეოდეზია	კოტე გოგელია	ინჟინერ-მშენებელი
სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია და მართვა	ნანა დონდოლაძე	ინჟინერ-მშენებელი
სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია	თემურ თურმანიძე	დოქტორი
საინჟინრო მექანიკა	რევაზ კახიძე თეიმურაზ ჯოჯუა მერი სტურუა	დოქტორი დოქტორი ინჟინერ-მექანიკოსი
გრუნტების მექანიკა; გეოლოგია	თეიმურაზ ქიქავა	დოქტორი
საინჟინრო გრაფიკა	ყურშუბაძე ციური	დოქტორი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღი, თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალა (პრეზენტაციები და ვიდეოფილმები).

XV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა განხორციელდება სწავლების პროცესში ქვემოთ მოყვანილ კომპანიების სამშენებლო ობიექტებზე:

- ქ. ბათუმი. შ.პ.ს. „ორბი-ანაგი“, მემორანდუმი ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ქ. ბათუმი. შ.პ.ს. „სითი-პარკი“, მემორანდუმი ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ქ. ბათუმი. შ.პ.ს. „მონოლითი-2005“, მემორანდუმი ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ქ. ბათუმი. შ.პ.ს. „გუმბათი-1“, მემორანდუმი ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ქ. ბათუმი. ქ. ბათუმის მერია, მემორანდუმი ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

XVI. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სოქალაქო მშენებლობის IV საფეხურის მშენებელ-მწარმოებელის პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, სტუდენტს საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა V საფეხურის პროგრამით.